შპს „პონტიკა“ ინსპექტირების ორგანო
ს/კ 402073448
მისამართი: ქ. თბილისი.
შ. ნუცუბიძის ქ. N183/185
ტელ.: +995555295558
Email: abuashvili.lala@gmail.com

GAC – IB –0306
სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა #37-ში (ამჟამად კოტე აფხაზის ქუჩა), მშენებარე სასტუმროს შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ TC 2605/12.01.2023

მომსახურების სფერო: ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 15.12.2022

ინსპექტირების დასრულების თარიღი: 11.01.2023

დამკვეთი: შპს „RAMSIS“ ს/კ 404434117

საფუძველი: ხელშეკრულება №721/12-22; განაცხადი

შემსრულებელი ექსპერტები და შემსრულებლების კვალიფიკაცია:

რამაზ აფხაძე. უმაღლესი განათლებით ინჟინერ–მშენებელი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 47 წლის სტაჟით

დავით ჯიბლაძე, უმაღლესი განათლებით ინჟინერ–მშენებელი, ხიდების და გვირაბების მშენებლობის კვალიფიკაციით. საშენი მასალების ტექნოლოგი. სპეციალობით მუშაობის 36 წლის სტაჟით.

სპეციალისტების წინაშე დასმული ამოცანა:

ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა #37-ში (ამჟამად კოტე აფხაზის ქუჩა), მშენებარე სასტუმროს შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;

წარმოდგენილი მასალები:

_ 2016 წელს შპს „RAMSIS"-ის საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული „სასტუმრო ქ. თბილისში, კ. აფხაზის ქუჩა #37"-ში, პროექტის არქიტექტურული ნაწილი. პროექტის მთავარი არქიტექტორი ო. წიკლაური.

_ 2017 წელს, შპს „ჯი აი პი ენ"-ის საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული „სასტუმრო ლესელიძეზე" პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ო. ქვრივიშვილი.

_ „ქ. თბილისში, „სასტუმრო ლესელიძეზე" შენობის მზიდი კონსტრუქციების სტატიკურ და დინამიურ ზემოქმედებაზე საანგარიშო ანალიზის რეპორტი". ანგარიშები შესრულებულია შპს „ჯი ენ პი"-ს საპროექტო ჯგუფში საანგარიშო კომპიუტერული პროგრამით SAP-2000, ვერსია v23.0.0 (ლიცენზია #3010*1WBRTCYNZ66LSJV). მთავარი კონსტრუქტორი ო. ქვრივიშვილი.

_ „ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. #37-ში და კოტე აფხაზის II ჩიხი ##6, 7 და 9-ში (ყოფილი ლესელიძის ქუჩა) სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები", რომელიც შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს საინჟინრო გეოლოგიურ განყოფილებაში. შესრულებულია ინჟინერ-გეოლოგ ა. პასიკაშვილისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მთ. გეოლოგ ზ. კვაჭანტირაძის მიერ.

_ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 14 თებერვალს გაცემული #3091340 ბრძანება „მშენებლობის სანებართვო მოწმობა"-ს გაცემის თაობაზე

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #71-ე დადგენილების:
  - - ტექნიკური რეგლამენტის - „ სეისმომედეგი მშენებლობა" (დანართი 3)
  - - ტექნიკური რეგლამენტის - „ სამშენებლო კლიმატოლოგია" (დანართი 5)
  - „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია", დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.
- ✓ СНиП II-22-81* Каменные и Армокаменные Конструкций. (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები).
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (პნ 02.01-08).
- ✓ СП 13-102-2003 „ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები"
- ✓ PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა

გამოყენებული ხელსაწყოები

- ✓ საზომი რულეტი (დაკალიბრების სერტიფიკატი №GMC-CC-00585/2-22)
- ✓ ლაზერული მანძილმზომი ობიექტის ზომების, ფართისა და მოცულობის აზომვა (დაკალიბრების სერტიფიკატი №GMC-CC-00583/2-22);
- ✓ „HT 225“ მოდელის შმიდტის ჩაქუჩი (დაკალიბრების სერტიფიკატი № GE/MI/05-01185-22);
- ✓ ჰიდრავლიკური წნეხი საქარხნო N 151010, ტიპი STYE-2000 (დაკალიბრების სერტიფიკატი №GMC-CC-00285/6-22)



გამოკვლევა

დავალების თანახმად შესწავლილ იქნა ქალაქ თბილისში, ლესელიძის II ჩიხი #7; კოტე აფხაზის II ჩიხი #9; ლესელიძის ქუჩა #37; ლესელიძის II ჩიხი #6-ში, შპს „RAMSIS"-ის (ID ნომერი: 404434117) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი # 01.18.03.048.030) მშენებარე სასტუმროს შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის შეფასებისა და შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #71-ე დადგენილების: ტექნიკური რეგლამენტის _ „სეისმომედეგი მშენებლობა" (დანართი 3)-ის სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით, მშენებლობისთვის გამოყოფილი უბანი, ქ. თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ინტენსივობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით A=0,17. შენობა მდებარეობს ქალაქ თბილისში (საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით ზონა – თბილისი, სექტორი - კრწანისი), რომლისთვისაც ზემოხსენებული დადგენილების (დანართი 5)-ის – „სამშენებლო კლიმატოლოგია"-ს (პნ 01.05-08)-ის მიხედვით საანგარიშო პარამეტრებად დადგენილია შემდეგი კლიმატური მონაცემები: თოვლის საფარის წონა 0,50 კპა (50 კგძ/კვ.მ); სამშენებლოდ გამოყოფილ კონკრეტულ უბანზე მონაცემების არარსებობის გამო შეიძლება შერჩეულ იქნას უახლოესი პუნქტის, თბილისის ბოტანიკური ბაღისათვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა, რომელიც შეადგენს _ 0,33 კპა-ს, 15-წლიანი განმეორებადობით.

ჩვენს მიერ შესწავლილი შენობის მშენებლობა დაწყებულია 2017 წელს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 14 თებერვალს გაცემული #3091340 ბრძანების საფუძველზე 2016 წელს შპს „RAMSIS"-ის საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული „სასტუმრო ქ. თბილისში, კ. აფხაზის ქუჩა #37"-ში, სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული [შეთანხმებული პროექტი დამუშავებულ იქნა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით (ბრძანება #1747108 02/23/2015), რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილება 2016 წლის 06 დეკემბერს გამოცემული #2975078 ბრძანების საფუძველზე] არქიტექტურული

(პროექტის მთავარი არქიტექტორი ო. წიკლაური) და 2017 წელს, შპს „ჯი აი პი ენ“-ის საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული კონსტრუქციული (პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ო. ქვრივიშვილი) პროექტების მიხედვით.

დამკვეთმა ზემოაღნიშნულ, აზომვითი ნახაზების გათვალისწინებით შესრულებულ არქიტექტურულ პროექტთან ერთად მოგვაწოდა შემდეგი დოკუმენტაცია (მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი):

_ 2016 წელს შპს „RAMSIS”-ის საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული „სასტუმრო ქ. თბილისში, კ. აფხაზის ქუჩა #37“-ში, პროექტის არქიტექტურული ნაწილი. პროექტის მთავარი არქიტექტორი ო. წიკლაური.

_ 2017 წელს, შპს „ჯი აი პი ენ“-ის საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული „სასტუმრო ლესელიძეზე“ პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ო. ქვრივიშვილი.

_ „ქ. თბილისში, „სასტუმრო ლესელიძეზე“ შენობის მზიდი კონსტრუქციების სტატიკურ და დინამიურ ზემოქმედებაზე საანგარიშო ანალიზის რეპორტი“. ანგარიშები შესრულებულია შპს „ჯი ენ პი“-ს საპროექტო ჯგუფში საანგარიშო კომპიუტერული პროგრამით SAP-2000, ვერსია v23.0.0 (ლიცენზია #3010*1WBRTCYNZ66LSJV). მთავარი კონსტრუქტორი ო. ქვრივიშვილი.

_ „ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. #37-ში და კოტე აფხაზის II ჩიხი ##6, 7 და 9-ში (ყოფილი ლესელიძის ქუჩა) სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“, რომელიც შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს საინჟინრო გეოლოგიურ განყოფილებაში. შესრულებულია ინჟინერ-გეოლოგ ა. პასიკაშვილისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მთ. გეოლოგ ზ. კვაჭანტირაძის მიერ.

_ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 14 თებერვალს გაცემული #3091340 ბრძანება „მშენებლობის სანებართვო მოწმობა“-ს გაცემის თაობაზე [სანებართვო მოწმობაში არ არის მითითებული მშენებლობის რიგითობა და ეტაპები (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255-ე დადგენილების: „მშენებლობის

ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, V თავი-ს მე-18 მუხლის _ „მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი“-ს პირველი პუნქტის დ.გ) ქვეპუნქტის მიხედვით IV კლასის შენობების მშენებლობა უნდა განხორციელდეს მინიმუმ 10 ეტაპად), მაგრამ ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა შპს „თბილქალაქპროექტი-სტუდია 3“-ის ინჟინერ ტ. სტურუას მიერ დამუშავებული სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა“, რომელშიც მშენებლობისთვის გათვალისწინებულია 18 ეტაპი (6-ეტაპი მოსამზადებელ პერიოდში, ხოლო 12-ეტაპი ძირითად პერიოდში)].

ჩვენს მიერ შესწავლილი, „სასტუმრო ქ. თბილისში, კ. აფხაზის ქუჩა #37“-ში, მდებარეობს #01.18.03.048.030 საკადასტრო კოდის მქონე, მცირედქანობიან მიწის ნაკვეთზე. შენობა გეგმაში საკადასტრო წითელი ხაზების კონტურს მორგებული, მრავალგვერდა დანაწევრებული, რთული გეომეტრული ფორმისაა და აღმოსავლეთის ფასადით (კოტე აფხაზის ქუჩის გასწვრივ) საფეხურებად მიყვება კოტე აფხაზის ქუჩის ქანობს. შენობა მოცულობებად დანაწევრიანებულია სამ, ოთხ, ხუთ და ტერიტორიის სიღრმეში კი ექვს სართულიან ნაკვეთურებად. კოტე აფხაზის ქუჩის გასწვრივ შენობის მაქსიმალური სიგრძე ღერძებს შორის 48,901 მ-ია. შარდაფის სართულის სიმაღლე 2,90 მ-ია. პირველი სართულის სიმაღლე „ა-გ“ და „2-6“ ღერძებს შორის, საერთო-საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე სივრცეში, რომელიც განკუთვნილია ვესტიბიულის, ჰოლისა და რესტორნისთვის, სართულის სიმაღლე 4,60 მ-ია, ხოლო დანარჩენ სივრცეში კი 3,05 მ. სხვა ზედა სართულების სიმაღლე 3,05 მ-ია. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება სამი სამგზავრო ლიფტითა და პირველი სართულიდან (პირობითი 0,000 ნიშნული) ზედა სართულებზე კომუნიკაციისთვის განკუთვნილი, მონოლითური რკინაბეტონის ორმარშიანი, სამი შიგა კიბით. შენობის სახურავი გადაწყვეტილია სხვადასხვანაირ სტილში _ კოტე აფხაზის ქუჩის მხარეს ორიენტირებული სახურავი გადაწყვეტილია ტერასული (ბანური) სისტემით, ბრტყელი გადახურვით, რომელიც ნაწილობრივ გადახურულია ლითონის ინდივიდუალურ კარკასზე მოწყობილი მსუბუქი, გამჭვირვალე კონსტრუქციით, სადაც გათვალისწინებულია საერთო სარგებლობის კაფე-ბარის მოწყობა. ნაკვეთის სიღრმეში კი, შენობის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ორიენტირებული სახურავი ორქანობიანია, ბურულად გამოყენებულია თუნუქის პროფირილებული ფენილი ხის შეფიცვრაზე.

ამჟამად შენობაზე მთლიანად დასრულებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და მიმდინარეობს შიგა კედლების მოწყობისა და სათავსოების მოპირკეთების სამუშაოები.

შენობის გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა ასახულია ფოტომასალაზე, რომელიც დანართის სახით თან ახლავს წარმოდგენილ კონსტრუქციულ დასკვნას.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობს ოთხი ფენა (მათ შორის სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი): რელიეფის ზედაპირიდან 2,10÷3,50 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ტექნოგენური, ნაყარი გრუნტი (ფენა 1), წარმოდგენილი თიხის, კენჭების, ღორღის და სამშენებლო ნაგვის ნარევით; ნაყარის ქვეშ, 7,40÷10,30 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის გრუნტები (ფენა 2), წარმოდგენილი უმთავრესად რბილადპლასტიკური კონსისტენციის ყავისფერი თიხებით, ღორღის და ხვინჭის 10÷15 %-მდე ჩანართებით, ქვიშის და ქვიშნარის თხელი ლინზების არაკანონზომიერი გავრცელებით, რომელთა ქვეშ გავრცელებულია მდინარე მტკვრის ალუვიური, მსხვილნატეხოვანი გრუნტი (ფენა 3), წარმოდგენილი სხვადასხვა ფრაქციის კენჭნარით, ქვიშიანი თიხის 30 %-მდე შემავსებლით. კენჭნარები შემოფენილია ძირითადი ქანებით _ არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით (ფენა 4). გამოკვლეულ სიღრმემდე (რელიეფის ზედაპირიდან 11,0÷14,0 მ-მდე)ძირითადი ქანები გამოფიტულია, რომლის ხარისხი სიღრმეში თანდათან კლებულობს. ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ უბანი ხასიათდება გრუნტის წყლის არსებობით, რომელიც გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში, რელიეფის ზედაპირიდან 2,0÷3,1 მ-ის სიღრმემდე და ქიმიური ანალიზების თანახმად ბეტონის კონსტრუქციების მიმართ ამჟღავნებს სულფატურ აგრესიულობას. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები დეტალურად იხილეთ პროექტის საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

შენობის კონსტრუქციული სქემა ხისტკვანძიანი, მონოლითური რკინაბეტონის კარკასული სისტემაა. შეთანხმებული პროექტის კარკასის კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშება სტატიკურ და დინამიურ დატვირთვებზე შესრულებულია 2017 წელს საანგარიშო კომპლექს „SAP2000v14”-ის საშუალებით. ანგარიშით მიღებული ძალვების მიხედვით შერჩეულ იქნა ფუძე საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების კვეთები და არმირება. ჩვენ ინსტრუმენტულად ვერ შევამოწმეთ საძირკვლების ტიპი, ზომები და ფუძის გრუნტული

პირობები, ამიტომ დავეყრდენით კონსტრუქციულ პროექტში დაფიქსირებულ მონაცემებს. შენობა გრუნტზე დაფუძნებულია მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი Ø1000 და Ø800 მმ-იანი დიამეტრის ხიმინჯებით, რომელთა თავზე მოწყობილია 1200X700(h) და 1000X700(h) მმ. განივი კვეთის მქონე მონოლითური რკინაბეტონის როსტვერკი. ქვაბულის ფერდის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, მომიჯნავე შენობებისა და კომუნიკაციების დაზიანების თავიდან აცილებისა და უსაფრთხოების მიზნით ქვაბულის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის Ø600 მმ. დიამეტრის მქონე ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გადამღობი ეკრანი (ე.წ. „შპუნტური კედელი“). შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებად გამოყენებულია: მონოლითური რკინაბეტონის სწორკუთხა სვეტები განივი კვეთით: 500X500, 400X400 და 400X830 მმ; რიგელები განივი კვეთით 400X600(h), 400-X1110 მმ. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის სხვადასხვა სისქის ფილებით: h=180, h=200, h=240 და h=300 მმ, რომლებიც კარკასის ელემენტებთან ერთად ქმნიან სიხისტის ჰორიზონტალურ დისკოს და უზრუნველყოფენ შენობის შენობის სივრცით სიხისტეს. სართულებს შორის საკომუნიკაციო კიბის მარშებისა და ბაქნების ფილების სისქე 180 მმ-ია. პროექტის მიხედვით კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი, ხოლო არმირება განხორციელემულია A500C კლასის არმატურის ღეროებით და A240C კლასის გლინულათი.

მშენებლობის მიმდინარეობის დროს პროექტმა განიცადა ცვლილება და შეთნხმებულ პროექტსა და მშენებარე შენობას შორის გამოვლენილი შეუთავსებლობა სავარაუდოდ აისახა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური“-ს ბრძანებაში სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე [რომელიც დამკვეთს არ მოუწოდებია, მაგრამ დაფიქსირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გვერდზე ატვირთული ინფორმაციის (AR1463704) განმარტებით ბარათში]. ამჟამად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დასრულებულია და მისი კარკასი აშენებულია გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით შესრულებულ, დამკვეთის მიერ წარმოდგენილ, აზომვით ნახაზებზე დაფუძნებული არქიტექტურულ პროექტში. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გადაანგარიშება სტატიკურ და დინამიკურ (სეისმურ) ზემოქმედებაზე შესრულდა სასრული ელემენტების

მეთოდით, სერტიფიცირებული საანგარიშო პროგრამა „SAP -2000, ვერსია v23.0.0 (ლიცენზია #3010*1WBRTCYNZ66LSJV)“-ის პროგრამული კომპლექსის გამოყენებით. პროექტის მთავარ კონსტრუქტორ ო. ქვრივიშვილთან ერთად გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით შემოწმებულ იქნა კომპიუტერული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზები. კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში (სასრულ ელემენტთა მოდელი) გადამოწმებულ იქნა სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები, მათი შეხამებები და ისინი შედარებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. შემოწმებულ იქნა მიღებული შედეგები და მთლიანად შენობის მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, რომლის ანალიზით მიღებული შედეგები შემდეგია: შენობის საკუთარი რხევის პერიოდები: Iფ=1,0474 წმ; IIფ=0,9563 წმ და IIIფ=0,9197 წმ. შენობის დინამიკური პარამეტრების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა საკუთარი რხევის 8 ფორმა. შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური დეფორმაციები სეისმური დატვირთვით: მასების კონტრიბუციამ X მიმართულებით შეადგინა 36,2 მმ, ხოლო Y მიმართულებით კი 42,3 მმ. ახალი ანგარიშით დადასტურდა შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტში დაფიქსირებული კონსტრუქციების კვეთების და არმირების სიდიდეები.

მონოლითური რკინაბეტონის ელემენტების სიმტკიცის მახასიათებლების დასადგენად შესრულებული იქნა ინსტრუმენტული სამუშაოები კონტროლის ურღვევი და მრღვევი მეთოდების გამოყენებით. გამოცდის შედეგად მიღებული სიმტკიცის მახასიათებელი პარამეტრები შესაბამისობაშია საპროექტო მონაცემებთან (B30).

შენობების ვიზუალური და ინსტრუმენტალური შესწავლის შედეგად დავრწმუნდით, რომ მათი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ხილულ ზედაპირებზე რაიმე სახის დაზიანებები თუ დეფორმაციები არ შეინიშნება, მაგრამ ყურადღება გასამახვილებელია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის #361-ე დადგენილებისა (მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477-ე დადგენილების (სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) მოთხოვნებით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომების დაცვაზე, კერძოდ, არ არის გათვალისწინებული შემდეგი მოთხოვნები:

_ „დამონტაჟებულ კიბის მარშებზე მაშინვე უნდა მოეწყოს შემოღობვა“ (დადგ. #361, მუხლი 10, $13.). „10-11“ და „კ-ლ“ ღერძებს შორის მონაკვეთში არსებულ კიბეზე დასრულებულია მოპირკეთების სამუშაოები და აღჭურვილია ლითონის მოაჯირებით, ხოლო „1-2“ და „ბ-გ“ ღერძებს შორის მდებარე კიბის უჯრედს და „7-8“ და „ბ-დ“ ღერძებს შორის მდებარე კიბის უჯრედს (ზედა სართულებზე) საერთოდ არ გააჩნია დროებითი დამცავი მოაჯირები.

_ „დამცავი მოაჯირი /მოაჯირები/ სახელურები უნდა დამონტაჟდეს ყველგან, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე“ (დადგ. #477. მუხლი 5, პუნქტი ა). შენობის გარე კონტურზე ვიტრაჟების მოწყობის ადგილებში, ტერასებსა და სახურავის პარაპეტების გარშემო არ არის მოწყობილი დროებითი დამცავი მოაჯირები.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

ტექნიკური კვლევა

მონოლითური რკინაბეტონის ელემენტების სიმტკიცის მახასიათებლების დასადგენად შესრულებული იქნა ინსტრუმენტული სამუშაოები კონტროლის ურღვევი მეთოდების გამოყენებით. გამოსაკვლევი უბნების შერჩევისათვის, იმის გამო, რომ ჩაქუჩის დარტყმა არ განხორციელებულიყო არმატურაზე, თავდაპირველად განისაზღვრა რკინაბეტონის კონსტრუქციაში არმატურის განლაგების სქემა, არმატურის დამცავი ფენის სისქე და საკიდებს შორის ბიჯი.

ურღვევი მეთოდით კვლევა ჩატარდა "Utest"-ის ფირმის "HT 225A" მოდელის ე.წ. "შმიდტი"-ს ჩაქუჩის საშუალებით.

კვლევა ჩატარდა ნორმატიული დოკუმენტების ГОСТ 22690-88 (ბეტონები, სიმტკიცის განსაზღვრა ურღვევი კონტროლის მექანიკური მეთოდებით) მოთხოვნების შესაბამისად.

ასევე, კონსტრუქციული ელემენტებიდან ამოჭრილი იქნა 2 ცალი ცილინდრული ფორმის ნიმუში, ბეტონის კერნები გამოცდილი იქნა სიმტკიცეზე მრღვევი მეთოდით. კვლევა ჩატარდა ნორმატიული დოკუმენტების ГОСТ 28570-2019 ბეტონი. კონსტრუქციიდან ამოჭრილი ნიმუშების სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდები/მოთხოვნების შესაბამისად, ბეტონის სიმტკიცის მრღვევი მეთოდით გამოცდის მნიშვნელობისა და ურღვევი მეთოდით გამოკვლევისათვის გამოყენებულ ხელსაწყოს „HT 225A" –ის ჩვენებებს შორის არსებული ირიბი დამოკიდებულების დასაზუსტებლად.

კერძოდ, მრღვევი მეთოდით შემოწმებული იქნა (შმიდტის ჩაქუჩთან ერთად) ბეტონის სიმტკიცის მნიშვნელობები, შემდეგ იგივე ხელსაწყოების დახმარებით შემოწმებული იქნა სანიმუშო ბეტონის ნიმუშების სიმტკიცის მნიშვნელობები ნიმუშების რღვევამდე და რღვევის შემდეგ. შედეგად დადგენილი იქნა (შმიდტის ჩაქუჩის მონაცემებით) კონსტრუქციებში ბეტონის სიმტკიცის საანგარიშო ფორმულა ზედაპირისადმი 90^0-იანი კუთხით მოქმედებისას:

$$R=12h-160$$

h - შმიდტის ჩაქუჩის საცემელას ასხლეტვის სიმაღლე.

მიღებული ფორმულის საშუალებით საკვლევ კონსტრუქციებში, შმიდტის ჩაქუჩის გამოყენებით, გამოთვლილი იქნა ბეტონის სიმტკიცის მნიშვნელობები.

გამოკვლევები ტარდებოდა კონსტრუქციის ელემენტის 100 სმ^2 დან 600 სმ^2–ის მონაკვეთზე. ასეთი მონაკვეთების რაოდენობა განისაზღვრებოდა ГОСТ 18105-86–ის მოთხოვნის შესაბამისად და შეადგენდა სამ-სამ საკონტროლო მონაკვეთს. ყოველ გამოსაკვლევ მონაკვეთზე ГОСТ 22690-88–ის მოთხოვნის შესაბამისად ხდებოდა არა ნაკლებ შვიდი ანათვლის აღება. ანათვლებს შორის მანძლი იყო 30მმ, დაშორება კონსტრუქციის ნაპირიდან 50მმ, ხოლო ყოველი გამოკვლეული კონსტრუქციის სისქე იყო მეტი 100მმ-ზე მიღებულია ბეტონის სიმტკიცის საშუალო მნიშვნელობა.

საკონტროლო მონაკვეთზე ბეტონის სიმტკიცის ურღვევი მეთოდით გამოკვლევის შემთხვევაში კონსტრუქციაში ბეტონის საშუალო მნიშვნელობა გამოითვლება (ГОСТ 18105-86) ხელსაწყოს გრადუირების მნიშვნელობების გადახრების გათვალისწინებით, ფორმულით:

$$S_m = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^{n}(R_i - R_m)^2}{n-1} + \frac{S_T^2}{p}}$$

S_T – ხელსაწყოს გრადუირების მნიშვნელობების საშუალო კვადრატული

გადახრაა, რომელიც განისაზღვრება ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნით.

n – გამოკვლეული კონსტრუქციების რაოდენობა.

p – კონსრტრუქციაში გამოკვლეული მონაკვეთების რაოდენობა,

ვარიაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა გამოითვლება ფორმულით

$$V_m = \frac{S_m}{R_m} \cdot 100,$$

საკონტროლო მონაკვეთების უბნებში ბეტონის სიმტკიცის საშუალო მნიშვნელობა გამოითვლება გამზომი ხელსაწყოს ირიბი მახასიათებლის საშუალო მნიშვნელობისა და ГОСТ 10180-90-ით ბეტონის ნიმუშების კუმშვაზე გამოცდით მიღებული გრადუირებული მრუდის შედეგების შეჯამებით.

ბეტონის საბოლოო სიმტკიცის საშუალო მნიშვნელობების (ნიმუშების კუმშვაზე გამოცდისა და სკლერომეტრის ჩვენებების) თანხვედრის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით V_0/V_u . სადაც V_0 და V_U არის შესაბამისი ვარიაციის კოეფიციენტები და ჩვენს შემთხვევაში ტოლია 0.88-0,90.

გამზომი ხელსაწყოს ცდომილების სიდიდის მნშვნელობა 10-12%-ია, ხოლო შესაბამისი ვარიაციის კოეფიციენტი V< 13,5%.

ჩვენს მიერ მონოლითური რკინაბეტონის ელემენტების სიმტკიცის მახასიათებლების დასადგენად შესრულებული იქნა ინსტრუმენტული სამუშაოები კონსტრუქციებიდან ბეტონის ცილინდრული ნიმუშების (ე.წ. „კერნი“) ამოღებით კონტროლის ურღვევი მეთოდების გამოყენებით. ბეტონის ორი ცილინდრული ნიმუში ამოჭრილ იქნა პირველი სართულის სხვადასხვა კონსტრუქციებიდან და გამოცდილ იქნა. გამოცდის შედეგად სიმტკიცის სიდიდედ კუმშვაზე დაფიქსირდა შემდეგი მნიშვნელობანი:

_ ნიმუში #1 _ „0,00 ნიშნული, სვეტი დ-3 ღერძზე“: ბეტონის სიმტკიცის მაჩვენებელი კუმშვაზე ტოლია 40,65 მპა (414,5 კგძ/სმ^2), რომლსთვისაც შესაბამისი ბეტონის კლასი კუმშვაზე >B30 (392,9 კგძ/სმ^2) და <B35 (458,39 კგძ/სმ^2).

_ ნიმუში #2 _ „0,00 ნიშნული, სვეტი Ზ-8 ღერძზე“: ბეტონის სიმტკიცის მაჩვენებელი კუმშვაზე ტოლია 39,64 მპა (404,2 კგძ/სმ^2), რომლსთვისაც შესაბამისი ბეტონის კლასი კუმშვაზე >B30 (392,9 კგძ/სმ^2) და <B35 (458,39 კგძ/სმ^2).

ბეტონის ცილინდრული ნიმუშების გამოცდის შედეგებით, კონსტრუქციებიდან აღებული ორივე ნიმუშის ბეტონის კლასის მახასიათებლები სიმტკიცეზე შესაბამისობაშია საპროექტო მოთხოვნებთან (B30).

მონოლითური რკინაბეტონის ელემენტების სიმტკიცის მახასიათებლების დასადგენად შესრულებული იქნა ინსტრუმენტული სამუშაოები კონტროლის ურღვევი მეთოდების გამოყენებით „HT 225“ მოდელის შმიდტის ჩაქუჩით (დაკალიბრების სერტიფიკატი № GE/MI/05-01185-22). შედეგები იხილეთ ცხრილი N2-ში

ცხრილი N1

№	კონსტრუქცია	სიმტკიცე, მპა	სიმტკიცე, კგძ/სმ2
-2.89 ნიშნული			
1	სამანქანე პანდუსის ფილა	48,5	495,0
2	სვეტი ბ-3 ღერძზე	44,9	458,1
3	რიგელი ბ-დ ღერძებს შორის 6 ღერძზე	48,5	495,0
4	რიგელი 7-8 ღერძებს შორის დ ღერძზე	52,1	531,0
5	სვეტი ე*-8* ღერძზე	34,6	352,8
6	სვეტი ე*-9 ღერძზე	41,4	422,1
0.00 ნიშნული			
1	კერნი № I სვეტი დ-3 ღერძზე	37,8	385,2

2	კერნი № II სვეტი Ზ-8* ღერძზე	39,5	403,2
3	გადახურვის ფილა ბ-გ და 4-5 ღერძებს შორის	44,9	458,1
4	სვეტი ე-6* ღერძზე	34,6	352,8
5	ლიფტის შახტის დიაფრაგმა	41,4	422,1
6	ლიფტის შახტის დიაფრაგმა	44,9	458,1
7	სვეტი ე*-7* ღერძზე	37,8	385,2
8	სვეტი Ზ-7* ღერძზე	41,4	422,1
3.06 ნიშნული			
1	სვეტი დ*-8* ღერძზე	37,8	385,2
2	რიგელი 8*-9 ღერძებს შორის თ ღერძზე	48,5	495,0
4.59 ნიშნული			
1	სვეტი დ*-8* ღერძზე	37,8	385,2
2	ლიფტის შახტის დიაფრაგმა	44,9	458,1
3	რიგელი ბ-გ ღერძებს შორის 3 ღერძზე	48,5	495,0
7.65 ნიშნული			
1	სვეტი დ*-8* ღერძზე	41,4	422,1
2	ლიფტის შახტის დიაფრაგმა	52,1	531,0
3	სვეტი ბ-7 ღერძზე	41,4	422,1
4	სვეტი ა*-7 ღერძზე	48,5	495,0
10.71 ნიშნული			
1	სვეტი დ*-8* ღერძზე	52,1	531,0
2	ლიფტის შახტის დიაფრაგმა	41,4	422,1

**ცხრილი N1-ში მიღებული შედეგები დაკორექტირებულია ურღვევი და მრღვევი გამოცდის შედეგების ირიბი დამოკიდებულების კოეფიციენტის გათვალისწინებით.*

***ყოველი შედეგი მიღებულია ჩაქუჩზე აღებული 7 - 8 ანათვლის საშუალო არითმეტიკულის მაჩვენებლით.*

ბეტონის სიმტკიცის მახასიათებელი პარამეტრების შეფასება განხორციელდა ГОСТ 26633-91 „ბეტონი. მძიმე და წვრილმარცვლოვანი, ტექნიკური პირობები“-ს შესაბამისად.

არმატურის დამცავი ფენის სისქე, არმატურის დიამეტრები, კლასი და არმატურებს შორის ბიჯი შესაბამისობაშია პროექტთან.

ჩვენს მიერ გამოცდის შედეგად მიღებული სიმტკიცის შედეგები შესაბამისობაშია საპროექტო მოთხოვნებთან (B30).

ტექნიკური მენეჯერი: /დავით ჯიბლაძე/

Curriculum vitae (CV)

TECH-6: CurriculumVitae(CV) პოზიცია	ინჟინერი
ექსპერტის სახელი და გვარი:	დავით ჯიბლაძე
დაბადების თარიღი:	06.02.1961
მოქალაქეობა:	საქართველო
განათლება:	

1978-1983- საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი/ სატრანსპორტო ფაკულტეტი /სპეციალობა: ხიდებისა და გვირაბების მშენებელ-ინჟინერი.
2013 - სერთიფიკატი - ტექნიკური შემფასებელი, (ISO/IEC17025, სამშენებლო მასალები)

Employment Record Relevant to the Assignment:

პერიოდი	დამსაქმებელი ორგანიზაცია და პოზიცია საკონტაქტო ინფორმაცია	ქვეყანა	მოვალეობები
2018-დღემდე	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** შპს „პონტიკა“ **პოზიცია**: სამშენებლო ობიექტის პროექტის ინსპექტირების ტექნიკური მენეჯერი; ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების შემფასებელი ექსპერტი, ტექნიკური მენეჯერი **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** ლალი აბუაშვილი, დირექტორი **ტელ**.: +995555295558 **Email**: abuashvili.lala@gmail.com	საქართველო	სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობების, ნაგებობების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების ხიდების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება-ინსპექტირება. არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით) აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.
2016-2017	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** შპს საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი **პოზიცია**: დირექტორი **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** ლალი აბუაშვილი, ხარისხის მენეჯერი **ტელ**.: +995555295558	საქართველო	ინსპექტირების ორგანო ISO/IEC 17020 (Expiration Date 2021) სტანდარტის მიხედვით.

	Email: emgroup016@gmail.com		
2016-დღემდე	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** შპს საშენი მასალებისა და ნაკეთობების კვლევითი ცენტრი **პოზიცია:** ლაბორატორიის ხელმძღვანელი **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი :** გაბეჭავა მარინა **Tel**: 595744965 **Email**: kvleviti.centri@gmail.com	საქართველო	ლაბორატორიული აქტივობებეს მართვა; ხარისხის კონტროლი; პერსონალის დატრენინგება.
2009-დღემდე	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** ეკონომიკის სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი **პოზიცია:** ISO17025 სტანდარტით ექსპერტი **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** ლერი გაჩეჩილაძე **Tel:**+955599263461 **Email**: .leri@gac.gov.ge	საქართველო	ექსპერტი ISO17065 და ISO 17025 სტანდარტით
2010-დღემდე	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** ქართუ ჯგუფის კომპანიები : შპს "ბურჯი" და ასოციაცია "ატუ". **პოზიცია:** მთავარი ტექნოლოგი; ხარისხის კონტროლის მენეჯერი **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** როსტომ ჩაბრაძე (ასოციაცია „ატუ“-ს გამგეობის თავმჯდომარე) **Tel:**+995595222299	საქართველო	ტექნოლოგიური პროცესების მენეჯმენტი; ხარისხის კონტროლი; კონსტრუქციების შერჩევა; სპეციალური ნივთიერებების იზოლაცია და ასფალტის, ბეტონის და ასფალტ-ბეტონის ნარევების გამოცდა სიმტკიცეზე; ბეტონის შემადგენლობებების მომზადება და ოპტიმიზაცია. დრეკადობის მოდულების განსაზღვრა ბეტონის ფიზიკო-მექნიკური თვისებების გამოთვლები და პროექტირება.
2007-2012	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** შპს "ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯია" **პოზიცია:** ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ხარისხის კონტროლის მენეჯერი, პროდუქციის მენეჯერი. **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** დავით კოლელიშვილი, პროდუქციის მენეჯერი **Tel**:(955)577577521	საქართველო	ხარისხის კონტროლი, ტექნიკური და ლაბორატორიის პერსონალის დატრენინგება; შიდა აუდიტი. მენეჯმენტის ანალიზი.
2008-2012	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** შპს New Energy. **პოზიცია** :ლაბორატორიის ხელმძღვანელი; ხარისხის კონტროლის მენეჯერი; პროდუქციის მენეჯერი. **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** გივი ბადაშვილი **T**:(955)595364622	საქართველო	ხარისხის კონტროლი, სამშენებლო მასალების კვლევა, ნივთიერებების შემადგენლობის განსაზღვრა; გრუნტის გამოცდა; კონსტურქიების მეთოდოლოგია;პერსონა

			ლის დატრენინგება; შიდა აუდიტი.
2008-2014	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის დეპარტამენტი **პოზიცია:** სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** ბადრი ჭურჭელაური დირექტორი **T**:(955)598277571	საქართველო	სამშენებლო მასალების ყოველმხრივი გამოკვლევა.

2008-2011	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** საინჟინრო აკადემია **პოზიცია**: კონსულტანტი **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** თეა ნარეკლიშვილი განყოფილების ხელმძღვანელი **T**:(955)599115685	საქართველო	სამშენებლო მასალების ყოველმხრივი შესწავლა
1985-2009	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. **პოზიცია:** სამშენებლო მასალების ლაბორატორიის N91-ის ხელმძღვანელი. **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** მალხაზ ტურძელაზე, დეპარტამენტის პროფესორი **T**: (955)577344282	საქართველო	სამშენებლო მასალების შესწავლა. მასალების მომზადება მაღალი სიხშირის მეთოდით; ბეტონის გამყარების პროცესის გამოძიება. ლაბორატორიის მენეჯმენტი ; ხარისხის მენეჯმენტი
2004-2007	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** შპს. "ნოლა" **პოზიცია:** ლაბორატორიი ს ხელმძღვანელი **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** ვოვა გურგენიძე, მენეჯერი **T**:(955) 599916915	საქართველო	ხარისხის კონტროლი. ტექნიკური პერსონალის და ლაბორატორიის მუშახელის დატრენინგება; შიდა აუდიტი.
1983-1985	**დამსაქმებელი ორგანიზაცია:** საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საკონსტრუქტორო ბიურო - საინჟინრო ნაგებობების დეპარტამენტი. **პოზიცია** : სტრუქტურული ინჟინერი **საკონტაქტო პირის** **სახელი, გვარი:** ალექსი ბურდულაძე **T**:(955)599102868	საქართველო	საინჟინრო ნაგებობების პროექტირება

პროფესიული ასოციაციების წევრობა / პუბლიკაციები

საინჟინრო აკადემიის წევრი
პუბლიკაცია: "ბეტონის შეკლების კვლევების ანალიზი, სინთეზი და მიმოხილვა". სამეცნიერო ინჟინერია, საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალი "სამთო ჟურნალი", N2(33), 2014

ენები (მიუთითეთ მხოლოდ ის ენა, რომელზე მუშაობაც შეგიძლიათ):

ქართული - მშობლიური, რუსული- შესანიშნავად

დავალებასთან ადეკვატურობა:	
Detailed Tasks Assigned on Consultant's Team of Experts:	მიუთითეთ სამუშაოები, რომელიც საუკეთესოდ აღწერს შესასწრულებელი სამუშაოსთვის საჭირო უნარების ფლობას
მონაწილეობა ინსპექტირების სამუშაოებში. ინსპექტირების ანგარიშების დამოწმება.	**დავალება ან პროექტის დასახელება:** შპს „პონტიკა“-ს მიერ შესრულებულ ინსპექტირების სამუშაობში მონაწილება. **წელი:** 2018 წლიდან დღემდე **ადგილმდებარეობა:** საქართველო **პროექტის მთავარი მახასიათებლები:** სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობების, ნაგებობების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების ხიდების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება-ინსპექტირება. მათ შორის: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა;კონსტრუქციული ნაწილი;არქიტექტურული ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ელ. მომარაგების სისტემები, სუსტი დენების სისტემები) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება; **დაკავებული პოზიციები:** ტექნიკური მენეჯერი; კონსულტანტი. **შესრულებული აქტივობები:**კონსულტანტი, ტექ.მენეჯერი; ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირებაზე; ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირების სამუშაოებზე;

მონაწილეობა ინსპექტირების სამუშაოებში. ინსპექტირების ანგარიშების დამოწმება.	**დავალება ან პროექტის დასახელება:** შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული ინსპექტირების ანგარიშები. **წელი:** 2017-2018 **ადგილმდებარეობა:** საქართველო **პროექტის მთავარი მახასიათებლები:** ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება; ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება; ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით); სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობის ხიდების, გვირაბების, აეროდრომების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. მათ შორის: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა;საინჟინრო-ჰიდროლოგიური კვლევა/დასკვნა; კონსტრუქციული ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ელ. მომარაგების სისტემები, სუსტი დენების სისტემები) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება; **დაკავებული პოზიციები:** დირექტორი, კონსულტანტი, ტექ.მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი; **შესრულებული აქტივობები:** დირექტორი, კონსულტანტი, ტექ.მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირებაზე; ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირების სამუშაოებზე;
კომბინირებული ნივთიერებების ხარისხის ზედამხედველობის განხორციელება. დიზაინის მიმოხილვა. ტროტუარის ზედამხედველობა, ტროტუარის ფენების ინსპექტირება, ნიმუშების აღება და ტესტირება. ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერისთვის მოხსენების ჩაბარება.	**დავალების ან პროექტის დასახელება:** “Black Sea Arena” საკონცერტო დარბაზის მშენებლობა შეკვეთილში, 5 ვარკსვლავიანი სასტუმრო შეკვეთილში, რაგბის სტადიონები (14) **წელი:** 2012-2018 **ადგილმდებარეობა:** საქართველო **კლიენტი:** ქართუ ჯგუფი **პროექტის მთავარი მახასიათებლები:** კონსტრუქციული სამუშაოები. **დაკავებული პოზიციები:** ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი **შესრულებული აქტივობები:** სამშენებლო ნაკეთობების ტესტირების მონიტორინგი; ასფალტ-ბეტონის ნარევები, გრუნტები, ქვიშ- ხრეში და ქვიშა-ღორღოვანი ნარევები.
	დავალების ან პროექტის დასახელება: ცხვარიჭამია-თიანეთის გზის რეაბილიტაცია **წელი:** 2012-2013 **ადგილმდებარეობა:** საქართველო **დამკვეთი:** საქართველოს საგზაო დეპარტამენტი **პროექტის მთავარი მახასიათებლები:** მეორადი გზის რეაბილიტაცია. **დაკავებული პოზიციები:** ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი **შესრულებული აქტივობები:** სამშენებლო ნაკეთობების ტესტირების მონიტორინგი; ასფალტ-ბეტონის ნარევები, გრუნტები, ქვიშ- ხრეში და ქვიშა-ღორღოვანი ნარევები.

დავალების ან პროექტის დასახელება: აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილი : იგოეთი-სვანეთის კონსტრუქცია
წელი :2012-2013
ადგილმდებარეობა: საქართველო
დამკვეთი : საქართველოს საგზაო დეპარტამენტი
პროექტის მთავარი მახასიათებლები: გზატკეცილის რებილიტაცია და კონსტრუქციული სამუშაოები (ბეტონის გზა).
დაკავებული პოზიცია: ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი
შესრულებული აქტივობები: სამშენებლო ნაკეთობების ტესტირების მონიტორინგი; ასფალტ-ბეტონის ნარევები, გრუნტები, ქვიშ- ხრეში და ქვიშა-ღორღოვანი ნარევები.

დავალების ან პროექტის დასახელება: ვაზიანი-გომბორი-თელავის გზატკეცილის 0-54 კმ-ის რეაბილიტაცია.
წელი : 2010- 2012
ადგილმდებარეობა: საქართველო
დამკვეთი: საქართველოს საგზაო დეპარტამენტი
პროექტის მთავარი მახასიათებლები: სარეაბილიტაციო სამუშაოები.
დაკავებული პოზიციები: ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი
შესრულებული აქტივობები: სამშენებლო ნაკეთობების ტესტირების მონიტორინგი; ასფალტ-ბეტონის ნარევები, გრუნტები, ქვიშ- ხრეში და ქვიშა-ღორღოვანი ნარევები.

დავალების ან პროექტის დასახელება: აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილი (55-80 კმ): გზის უსაფრთხოების სტრუქტურები (ნიუ ჯერსი, მოაჯირები, ა.შ.)
წელი : 2010 - 2012
ადგილმდებარეობა: საქართველო
დამკვეთი : საქართველოს საგზაო დეპარტამენტი, შპს "აშტრომ" (კონტრაქტორი)
პროექტის მთავარი მახასიათებლები: გზატკეცილის კონცტრუქცია
დაკავებული პოზიციები: ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი
შესრულებული აქტივობები: ბეტონის ტესტირების მონიტორინგი.

დავალების ან პროექტის დასახელება: გურჯაანი-კაბალი, ოზურგეთი-ლესა, მინაძე-ურაველი, გეგუთი-ფარცხანაყანევის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები
წელი: 2011
ადგილმდებარეობა: საქართველო
დამკვეთი : საქართველოს საგზაო დეპარტამენტი (კონტრაქტორი: შპს "New Energy")
პროექტის მთავარი მახასიათებლები: ასფალტო ბეტონისა და ცემენტის გზის აღდგენა/რეაბილიტაცია
დაკავებული პოზიციები: ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი
შესრულებული აქტივობები: სამშენებლო ნაკეთობების ტესტირების მონიტორინგი; ასფალტ-ბეტონის ნარევები, გრუნტები, ქვიშ- ხრეში და ქვიშა-ღორღოვანი ნარევები.

დავალების ან პროექტის დასახელება: ძეძვი- ტანძია და მჭადიჯვარი-დუშეთის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები
წელი : 2010-2011
ადგილმდებარეობა: საქართველო
პროექტის მთავარი მახასიათებლები: გმირთა მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
დაკავებული პოზიციები: ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი
შესრულებული აქტივობები: სამშენებლო ნაკეთობების ტესტირების მონიტორინგი; ასფალტ-ბეტონის ნარევები, გრუნტები, ქვიშ- ხრეში და ქვიშა-ღორღოვანი ნარევები.

დავალების ან პროექტის დასახელება: გმირთა მოედნის ესტაკადები
წელი : 2009-2010
ადგილმდებარეობა: საქართველო (თბილისი)
დამკვეთი: შპს CRP - თბილისის მუნიციპალიტეტის კონტრაქტორი
პროექტის მთავარი მახასიათებლები: საქალაქო გზების კონსტრუქცია
დაკავებული პოზიციები: ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი
შესრულებული აქტივობები: სამშენებლო ნაკეთობების ტესტირების მონიტორინგი;ასფალტ-ბეტონის ნარევები, გრუნტები, ქვიშ- ხრეში და ქვიშა-ღორღოვანი ნარევები.

დავალების ან პროექტის დასახელება: მარნეული-თელეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები
წელი : 2009
ადგილმდებარეობა: საქართველო
დამკვეთი : საქართველოს საგზაო დეპარტამენტი (კოტრაქტორი შპს "ზიმა")
პროექტის მთავარი მახასიათებლები: დაცვა მეწყრისგან, კედლების შენარჩუნება
დაკავებული პოზიციები: ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი
შესრულებული აქტივობები: სამშენებლო მასალები, გრუნტების, ქვიშა-ქვების, ხრეშისა და ცემენტის გამოცდის ზედამხედველობა.

დავალების ან პროექტის დასახელება: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შენობის კონსტრუქცია **წელი :** 2008 **ადგილმდებარეობა:** საქართველო (რუსთავი) **დამკვეთი:** შპს "ჯეოსტილი" **პროექტის მთავარი მახასიათებლები:** ქარხნის შენობისა და ინფრასტრუქტურის კონსტრუქცია **დაკავებული პოზიციები:** ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი **შესრულებული აქტივობები:** სამშენებლო მასალების ტესტირების მონიტორინგი; ასფალტ-ბეტონის ნარევები, გრუნტები, ქვიშ- ხრეში და ქვიშა-ღორღოვანი ნარევები.
დავალების ან პროექტის დასახელება: ნავთობის ტანკერის კონსტრუქცია **წელი:** 2006-2007 **ადგილმდებარეობა:** საქართველო **დამკვეთი:** BP **პროექტის მთავარი მახასიათებლები:** ბეტონის ტანკერის კონსტრუქცია (50,000 ტ) **დაკავებული პოზიცია:** ლაბორატორიის ხელმძღვანელი **შესრულებული აქტივობები:** სამშენებლო მასალების ტესტირების მონიტორინგი; ასფალტ-ბეტონის ნარევები, გრუნტები, ქვიშ- ხრეში და ქვიშა-ღორღოვანი ნარევები. (შეკუმშვის ინდექსი).
დავალების ან პროექტის დასახელება: მრავალფუნქციური შენობის კონსტრუქცია (პიქსელ 34) **წელი :** 2004-2005 **ადგილმდებარეობა:** საქართველო **დამკვეთი:** შპს "ნოლა" **პროექტის მთავარი მახასიათებლები:** შენობის კონსტრუქცია **დაკავებული პოზიციები:** ნაკეთობათა ინჟინერი / ხარისხის უზრუნველყოფის ინჟინერი **შესრულებული აქტივობები:** სამშენებლო მასალების ტესტირების მონიტორინგი; ასფალტ-ბეტონის ნარევები, გრუნტები, ქვიშ- ხრეში და ქვიშა-ღორღოვანი ნარევები.
დავალების ან პროექტის დასახელება: კვლევები სამშენებლო მასალების სფეროში (მათ შორის სტუდენტებისთვის ლექციების წაკითხვა) N 91 კათედრაზე. წელი :1985-2004 **ადგილმდებარეობა:** საქართველო **დამკვეთი:** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი **პროექტის მთავარი მახასიათებლები:** კვლევები სამშენებლო მასალების სფეროში (მათ შორის სტუდენტებისთვის ლექციების წაკითხვა) **დაკავებული პოზიცია:** ლაბორატორიის ხელმძღვანელი **შესრულებული აქტივობები:** ნივთიერებების ლაბორატორიული შემოწმება, სამშენებლო მასალების კვლევის მეთოლოდგიის განვითარება, სტუდენტებისთვის ლექციების წაკითხვა.

ექსპერტის საკონტაქტო ინფორმაცია	Email: David_jibladze@yahoo.com T: +995 595 559993; +995 555 55 40 34

ექსპერტის სახელი: დავით ჯიბლაძე	ხელმოწერა: 	თარიღი: 22.06.2021

ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესულებული სამუშაოების შესახებ

№	დამკვეთის დასახელება	მომსახურების აღწერილობა	შესრულების პერიოდი	საკონტაქტო პირი
1	შპს „პონტიკა“ ინსპექტირების ორგანო	1000-მდე სამშენებლო ობიექტის საექსპერტო დასკვნაში მონაწილეობა ექსპერტის სტატუსით	2018 დღემდე	ლალი აბუაშვილი (შპს „პონტიკა”-ს დირექტორი) Tel:+995555295558
2	ქართუ ჯგუფი, ასოციაცია „ატუ“	“Black Sea Arena” საკონცერტო დარბაზის მშენებლობა შეკვეთილში. კონსტრუქციული სამუშაოები. ხარისხის უზრუნველყოფა	2012-2017	როსტომ ჩაბრაძე (ასოციაცია „ატუ“-ს გამგეობის თავმჯდომარე) Tel:+995595222299
3	ქართუ ჯგუფი, შპს „ბურჯი“	5 ვარკვლავიანი სასტუმრო „პარაგრაფი“ შეკვეთილში. კონსტრუქციული სამუშაოები. ხარისხის უზრუნველყოფა	2012-2017	სერგო კელენჯერიძე სტგ უფოსი Tel: +995599731841
4	შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი“	160-მდე სამშენებლო ობიექტის საექსპერტო დასკვნაში მონაწილეობა ექსპერტის სტატუსით	2008-2014	ბადრი ჭურჭელაური (შპს „სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგი“დირექტორი) Tel: +955598277571

ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სწორია, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით:



22.06.2021 წ

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

HIGHER EDUCATION

DIPLOMA

duplicate

WITH HONOURS

UM № 000006

This is to certify that by the decision July 4, 1983.

of the Transport Engineering faculty

of the **Technical University of Georgia**

Mr. David Jibladze born on

February 6, 1961. after completion the full course of the

educational program was awarded the qualification of

Civil-Engineer

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi October 16, 2008 Registration No 00101

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი განათლების

დამადასტურებელი

დიპლომი

დუბლიკატი

წარჩინების

UM № 000006

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სატრანსპორტო

ფაკულტეტის 1983 წლის 4. 7 გადაწყვეტილებით,

დავით ჯიბლაძეს

დაბადებულმა 1961 წლის 6 თებერვალს დაასრულა უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი და მას მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის

კვალიფიკაცია.

ბ. ა.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 16/10/2008 სარეგისტრაციო # 00101

დიპლომი

წარჩინებით

Г-I № 174969

ეს დიპლომი მიეცა დავით
ალბერტის ძე ჯიბლაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს პ.ი.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1983წელს დაამთავრა
სრული კურსი სპეციალობით
ხიდები და გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1983 წ.
„4“ აგვისტოს გადაწყვეტილებით
დ.ა. ჯიბლაძეს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი
მდივანი

ქალაქი თბილისი 1985 წ. „31“ 01

სარეგისტრაციო № 0180

Грузинский яз.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Г-I № 174969

Настоящий диплом выдан Джибладзе
Давиду Альбертовичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1983 году окончил полный курс
названного
института
по специальности
мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „4“ июля 1983 г.
Джибладзе Д. А.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

м. п.

Город Тбилиси „31“ 01 1985 г.

Регистрационный № 0180

Московская типография Гознака. 1976.

რვაწლიანი განათლების

მოწმობა

მიეცა ეს მოწმობა დავით ალბერტის ძე
(სახელი,

ჯიბლაძეს
მამის სახელი, გვარი)

დაბადებულს 1961 წელს მასზე, რომ ის სწავლობდა

თბილისის [illegible]
(სკოლის სახელი

№-16 საშუალო სკოლაში
(დასახელება და მისი ადგილმდებარეობა)

/[illegible], 73/

დაამთავრა 1976 წელს რვა კლასი სანიმუშო

ყოფაქცევით და გამოიჩინა შემდეგი წარმატება:

მშობლიურ ენაში (ქართული) 4 (კარგი)

მშობლიურ ლიტერატურაში (ქართული) 4 (კარგი)

ქართულ ენაში

ქართულ ლიტერატურაში

რუსულ ენაში 4 (კარგი)

რუსულ ლიტერატურაში 4 (კარგი)

ალგებრაში 4 (კარგი)

გეომეტრიაში 4 (კარგი)

ისტორიაში 4 (კარგი)

საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში 4 (კარგი)

4

4

გეოგრაფიაში 4 (კარგი)

ფიზიკაში 4 (კარგი)

ქიმიაში 3 (საშუალო)

ბიოლოგიაში 4 (კარგი)

უცხო ენაში (გერმანული) 4 (კარგი)

ხაზვაში 4 (კარგი)

სიმღერასა და მუსიკაში 5 (ფრიადი)

სახვით ხელოვნებაში 5 (ფრიადი)

ფიზიკურ კულტურაში 5 (ფრიადი)

შრომით სწავლებაში 4 (კარგი)

სკოლის დირექტორი [signature]

მასწავლებლები: [signatures]

ბ. ა.

„25" ივნისი 1976 წ.

Б № 144899

СВИДЕТЕЛЬСТВО
о восьмилетнем образовании

Настоящее свидетельство выдано Джибладзе (фамилия)
Давиду Лаврентьевичу (имя и отчество),
родившемуся в 1961 году, в том, что он
обучался в общеобразовательной (полное наименование школы)
средней школе №16 г. Тбилиси (и место ее нахождения)
по Авчальскому шоссе 73
окончил в 1976 году восемь классов и
обнаружил при примерном поведении
следующие знания:

по родному языку (груз.) 4 (хор)
по родной литературе (груз.) 4 (хор.)
по грузинскому языку
по грузинской литературе
по русскому языку 4 (хор.)
по русской литературе 4 (хор)
по алгебре 4 (хор)
по геометрии 4 (хор.)
по истории 4 (хор)
по основам Советского государства и права 4 (хор.)
по географии 4 (хор.)
по физике 4 (хор.)
по химии 3 (пос)
по биологии 4 (хор.)
по иностранному языку (немец.) 4 (хор)
по черчению 4 (хор)
по пению и музыке 5 (отл.)
по изобразительному искусству 5 (отл.)
по физической культуре 5 (отл.)
по трудовому обучению 4 (хор)

Директор школы
Учителя:

М. П.

„25" июня 1976 г.

Б № 144899

Гознак. 1976.

სსსრ — ГССР

განათლების სამინისტრო

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ

რვაწლიანი განათლების

მოწმობა

СВИДЕТЕЛЬСТВО

О ВОСЬМИЛЕТНЕМ ОБРАЗОВАНИИ

კვალიფიკაციის მინიჭების სერტიფიკატი

ადასტურებს, რომ

დავით ჯიბლაძე

საკ-ის მიხედვით მიენიჭა კვალიფიკაცია:

ტექნიკური შემფასებელი

აკრედიტაციის შემდეგი სქემისათის:

☒ საგამოცდო ლაბორატორია (სსტ ისო/იეკ 17025)

შემდეგ ტექნიკურ სფეროში აკრედიტაციის MP-04-ის "დანართი 4"-ის შესაბამისად:

TL 7.1, TL 7.1.1, TL 7.1.2, TL 7.1.3, TL 7.1.4, TL 9.1,
PRC 1, PRC 19,

მინიჭებული კვალიფიკაცია ძალაშია 2017 წლამდე (გამოცემის დღიდან 5 წელი).

თბილისი,

თარიღი: 20/04/2013წ.

პაატა გოგოლიძე
საკ-ის გენერალური დირექტორი

This project is funded by The European Union

TWINNING PROJECT
GE10/ENP-PCA/TR09

STRENGTHENING ACCREDITATION INFRASTRUCTURE ACCORDING TO THE BEST PRACTICE IN THE EU MEMBER STATES

CERTIFICATE OF ATTENDANCE

David Jibladze

participated in the training on

ASSESSMENT OF TRACEABILITY OF MEASUREMENTS, INTERNAL QUALITY CONTROL, PROFICIENCY TESTING AND MEASUREMENT UNCERTAINTIES IN TESTING LABS (ISO/IEC 17025)

26th to 28th of March 2012

Contents of the training:

- Traceability of measurements in Georgia, actual situation
- Basic definitions
- Overview about requirements from ISO/IEC 17011, 17025, relevant ILAC and EA-papers
- assessment of traceability of measurements in testing labs
- assessment of internal quality control in testing labs
- assessment of proficiency testing in testing labs
- assessment of measurement uncertainties in testing labs

The training was composed of lessons, workshops and case studies based on practical examples.

Tbilisi, 28th of March 2012

Dr.-Ing. Thomas Schlüter
Lecturer

Irena Mikelioniene
Resident Twinning Advisor

LATAK BAM DAkkS Deutsche Akkreditierungsstelle

დანართი 4

კომპეტენციის ფარგლები და სფეროები

საგამოცდო ლაბორატორიები

#	სფერო/ გამოცდის სახეობა	ობიექტების ჯგუფი/ პარამეტრები	გამოცდის ობიექტი (პროდუქტი/მასალა)
TL 7.1		სამშენებლო მასალები და პროდუქტი	
TL 7.1.1			ქვა და აგრეგატები
TL 7.1.2			ბეტონი
TL 7.1.3			აგური და ფილები
TL 7.1.4			ასფალტი და ბიტუმი
TL 8	ქსოვილები და ტყავი		
TL 9	მექანიკური გამოცდა		
TL 9.1		მეტალები და მისი შენადნობები	
TL 9.2		ხე	
TL 9.3		პლასტმასი	

პროდუქტების სერტიფიკაცია

#	სფერო
PRC 1	სამშენებლო მასალები და მისი პროდუქცია
PRC 2	ლიფტები
PRC3	ადამიანთა გადასაყვანად გამიზნული საბაგირო მოწყობილობები
PRC4	წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები
PRC5	მარგი ქმედების მოთხოვნები თხევადი ან გაზის საწვავზე მომუშავე ცხელი წყლის ახალი ბოილერებისათვის
PRC6	წნევის მარტივი ჭურჭლები
PRC7	რეკრეაციული მოწყობილობები
PRC8	სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებდი მასალები
PRC9	ფეთქებადი ატმოსფეროში გამოსაყენებელი მოწყობილობები (ATEX)
PRC10	რადიომექანიკის მოწყობილობები და ტელეკომუნიკაციების ტერმინალის მოწყობილობები და მათი შესაბამისობის შეფასების ურთიერთაღიარება
PRC11	ელექტრომაგნიტური თავსებადობა (EMC)
PRC 12	დაბალი ძაბვა
PRC13	სამედიცინო მოწყობილობები
PRC14	ინ-ვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობები
PRC15	აქტიური იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობები
PRC 16	პერსონალური დამცავი აღჭურვილობა (PPE)
PRC 17	მოწყობილობა/ მექნიზმები
PRC 18	სათამაშოების უსაფრთხოება
PRC 19	სამშენებლო მასალები
PRC20	არა-ავტომატური საწონი ინსტრუმენტები
PRC21	გამზომი ინსტრუმენტები


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
დავით
DAVID
გვარი / LAST NAME
ჯიბლაძე
JIBLADZE
მოქ. / CIT
სქესი / SEX
